



საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო

ქ. თბილისი № 1/14

„ 17 „ აგვისტო 2014 წ.

გ ა დ ა ნ უ ყ ვ ე ბ ი ლ ე ბ ა

სსიპ - საერთო სასამართლოების დეპარტამენტისათვის სახელმწიფო შესყიდვის განხორციელებაზე თანხმობის მიცემის შესახებ

საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოსთან არსებული სსიპ - საერთო სასამართლოების დეპარტამენტის მიერ საფოსტო და საკურიერო მომსახურებების სახელმწიფო შესყიდვა 2012 წლის 16 თებერვლიდან მიმდინარე ეტაპამდე, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის პირველი მუხლის 3¹ პუნქტის „ს“ ქვეპუნქტის შესაბამისად, ხორციელდებოდა შპს „საქართველოს ფოსტისაგან“. აღნიშნულ პერიოდში შპს „საქართველოს ფოსტის“ მხრიდან ხშირად ადგილი ჰქონდა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების არაჯეროვნად შესრულებას. ამასთან, ბოლო პერიოდში შპს „საქართველოს ფოსტის“ მხრიდან ორჯერ იქნა შეცვლილი სატარიფო გეგმა, რამაც გამოიწვია მომსახურების მნიშვნელოვნად გაძვირება.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საერთო სასამართლოების დეპარტამენტის მიერ მიღებულ იქნა გადაწყვეტილება საფოსტო და საკურიერო მომსახურების შესყიდვაზე ტენდერის გამოცხადების თაობაზე. ტენდერში მონაწილეობას ღებულობს ორი პრეტენდენტი: შპს „სკს“ და შპს „საქართველოს ფოსტა“. სატენდერო კომისიის გადაწყვეტილებით შპს „საქართველოს ფოსტა“ დისკვალიფიცირებულ იქნა ტენდერიდან, ვინაიდან მათი წარმოდგენილი წინადადება ვერ პასუხობდა სატენდერო დოკუმენტაციის მოთხოვნებს. მიმდინარე ეტაპზე გამარჯვებული პრეტენდენტი (შპს „სკს“) გამოვლენილია და ტენდერს აქვს სტატუსი - „მიმდინარეობს ხელშეკრულების გაფორმება“, თუმცა შპს „საქართველოს ფოსტის“ მიერ კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოში შესყიდვებთან დაკავშირებული დავების განხილვის საბჭოში აღნიშნულ ტენდერთან დაკავშირებით წარდგენილ იქნა საჩივარი, რაც იწვევს მიმდინარე ტენდერის პროცედურების შეჩერებას.

საერთო სასამართლოების დეპარტამენტის წინადადებით, ხარჯების შემცირებისა და მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით აუცილებელია სატენდერო პროცედურების დასრულებამდე საფოსტო და საკურიერო მომსახურებების სახელმწიფო შესყიდვის მიზნით ხელშეკრულება გაფორმებულ იქნეს შპს „სკს“-თან, მის მიერ ზემოაღნიშნულ ტენდერში შემოთავაზებული პირობებით. შექმნილი მდგომარეობის დაუყოვნებლივ მოგვარებისა და ტენდერის დასრულებისათვის საჭირო ვადების გათვალისწინებით, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის 10¹ მუხლის მე-3 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის №9 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის“ მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის საფუძველზე:

ა) შექმნილი მდგომარეობა შეფასდეს როგორც გადაუდებელი აუცილებლობა;

ბ) თანხმობა მიეცეს სსიპ - საერთო სასამართლოების დეპარტამენტს, აუცილებლობით გამოწვეული პრობლემის მოსაგვარებლად საჭირო ვადების გათვალისწინებით, ზემოაღნიშნული სახელმწიფო შესყიდვა განხორციელოს გამარტივებული შესყიდვის საშუალებით.

ლევან მურუსიძე

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივანი